საქართველო

47742-01-2-201912191357

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/47742
19/12/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თეა ახვლედიანს

ქალბატონო თეა,

მიმდინარე წლის 13 დეკემბერს, პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოდან მიღებული წერილის საფუძველზე გაცნობებთ, რომ შეთანხმების პროცესშია საქართველოსა და პორტუგალიას შორის ლეგალური დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. პორტუგალიური მხრიდან პროცესში რამდენიმე უწყებაა ჩართული, მათ შორის არის შრომის, სოლიდარობისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო, შიდა ადმინისტრაციის სამინისტრო, იმიგრაციისა და საზღვრების დეპარტამენტი (SEF), კოორდინატორის როლი კი საგარეო უწყებას აკისრია.

შრომის, სოლიდარობისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს, ქართული მხარის შესაბამისი დელეგაციის ლისაბონში ჩამოსვლის შემთხვევაში, ორგანიზება გაუკეთოს გაფართოებულ შეხვედრას ჩართული უწყებების მონაწილეობით, რათა მხარეებმა დოკუმენტში შესატანი საკითხები დეტალურად განიხილონ. ასევე შრომის, სოლიდარობისა და სოციალური უსაფრთხოების მინისტრი მზად არის შეხვდეს ქართულ მხარეს. საელჩო მუშაობს აღნიშნული მიმართულებით.

საქართველოს საელჩოს მიზანშეწონილად მიაჩნია, პორტუგალიაში თქვენი ვიზიტის განხორციელება 2020 წლის იანვარში.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge